საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1634 2016 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს“ სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს“ სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) განახორციელოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის ხრამის სატყეოს კვარტალ №41-სა და №42-ში 150 $მ^3$ II ხარისხის (საშეშე) მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფა.

2. შპს „ბედიანის ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ“ უზრუნველყოს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გადახდა.

3. სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მერქნულ რესურსზე კანონმდებლობით გათვალისწინებული

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა.

4. შპს „ბედიანის ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ“ უზრუნველყოს ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მომსახურეობის საფასურის (დღგ-ის ჩათვლით) - 1 კუბურ მეტრზე 3 (სამი) ლარის გადახდა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი